საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვირცხალია დავით აბესალომის ძე



კვირცხალია დავით აბესალომის ძე (დ. 8. V. 1950, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1990). 1971 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, მ. თუმანიშვილის სახელოსნო; 1988 – კინოსარეჟისორო ფაკ-ტი ლ. ღოღობერიძის ხელმძღვანელობით.

დ. კვირცხალია

1970-იდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. შეასრულა შემდეგი როლები: სალამურა (ა. სულაკაურის ,,სალამურა“); ერეკლე (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი“); ზაზა, რომული (ნ. დუმბაძის ,,თეთრი ბაირაღები“; ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); რომეო (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა“); ჯვებე ქოლორდავა (შ. დადიანის ,,გუშინდელნი“); ლუციუსი, ბურგუნდიის მთავარი (უ. შექსპირის ,,იულიუს კეისარი“, „მეფე ლირი“) და სხვ.; მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრში – დიდრო (,,ნუ მიგვატოვებ მზეო“, ნ. დუმბაძის ნოველების მიხედვით); ბატონი დიმიტრი (თ. უაილდერის ,,ჩვენი პატარა ქალაქი“); მეტეხის თეატრში – პავკა (ნ. ოსტროვსკის ,,როგორ იწრთობოდა ფოლადი“). მონაწილეა სატელევიზიო დადგმებისა: ,,გზაჯვარედინზე“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი); ,,ეს არ უნდა მომხდარიყო“ (რეჟ. ზ. კაკაბაძე); ,,ხორუმი ქართული ცეკვაა“ (რეჟ. გ. კახაბრიშვილი); ,,ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს“ (რეჟ. ქ. დოლიძე). გადაღებულია ფილმებში: ,,ნატვრის ხე“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1976); ,,ყვარყვარე“ (რეჟ. დ. აბაშიძე, 1978); ,,ქორწინება იმერულად“ (რეჟ. ნ. წულაია, 1979); ,,მარტოხელა მონადირე“ (რეჟ.: ქ. დოლიძე, 1989) და სხვ. სატელევიზიო სერიალში ,,ჩემი ცოლის დაქალები“ ასრულებს გრიშა კაკაჩიას როლს. სარეჟისორო ნამუშევრები: 4-სერიანი მხატვრული ფილმი ,,ოქროს ობობა“ (1992, სცენარის ავტორები და რეჟისორები: დ. კვირცხალია, გ. ქავთარაძე, მ.

ანთაძე); ,,ჩემი სახელი საიდან იცი?“ (ნ. დუმბაძის მოთხრობების „დედასა“ და „კორიდას“ მიხედვით). მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის ,,ერთხელ“ მიღებული აქვს ჯილდო კიევის ახალგაზრდულ საერთაშ. ფესტივალზე (1984).